პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
პარასკევი
5 ოქტომბერი
№ 229 (17574)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების თათბირი, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა უმნიშვნელოვანესი პარტიულ-პოლიტიკური ამოცანები სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების, ხუთწლედის მეოთხე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელების საქმეში.

თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

იმაზე, თუ რა ამოცანები აკისრიათ პარტიულ ორგანიზაციებს, რათა გააძლიერონ ბრძოლა რესპუბლიკაში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, ათამაღლონ პროფილაქტიკური მუშაობის ქმედითობა „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიხედვით, ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მდგომარეობას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა შესრულების უზრუნველყოფის საქმეში პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანებს მიუძღვნა გამოსვლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატაშვილმა.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ თათბირზე ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ს. ე. ხაბეიშვილმა.

ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოემზადონ, რათა განიხილონ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მწარმოებელთა კოლექტივების ამოცანები სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების ისათვის, გააცნეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგემ ნ. ვ. სანთელაძემ.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ხ. სანაკოევი, რომლებმაც გააცნეთ ინფორმაციები იმის შესახებ, თუ რა საქმიანობას ეწევიან საოლქო პარტიული ორგანიზაციები, რათა წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი, განავითარონ ეკონომიკა და კულტურა, განამტკიცონ სოციალისტური დისციპლინა და მართლწესრიგი.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი.

თათბირის შედეგები შეაჯამა ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე. (საინფორმაციო).

ეჭარხლეთა დიდი გამოცდა

ვენს სახელოვან მეჩაიეთა გვერდით სიამაყით უნდა მოვიხსენიოთ მკლავმოუღლელი მეჭარხლეები, რადგან მეათე ხუთწლედის განვლილი სამი წლის განმავლობაში მათაც დიდი გადაბეჯებით აქვთ შესრულებული.

მაგრამ თუ ამ მიღწეულს დროის მაღალი მოთხოვნების პოზიციებიდან განვიხილავთ და იმასაც გავიხსენებთ, რომ შარშან მეჭარხლეებმა დავალების შესრულებას 7 ათას ტონაზე მეტი ტკბილი ნაყოფი დააკლეს, სავსებით ცხადი გახდება, რომ წლის საუკეთესო საბოლოო შედეგებისათვის ბრძოლა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, მით უმეტეს ახლა, როცა ბუნების პირველყოფილ დასასრული არ უჩანს.

„ცხინვალის რაიონის ვანათის საბჭოთა მეურნეობას ურწყავში 51 ჰექტარზე უთესია შაქრის ჭარხალი, — გვწერს სოფლური ვ. გოჩიაშვილი, — გვალვიანმა ამინდებმა შეიწუხა ნათესი, გამოშრა ფოთოლი, მაგრამ მეჭარხლეებმა პლანტაციას დროზე შეაშველეს ხელი; ჩართეს სარწყავი აგრეგატი და გამოცოცხლდა ნათესი. არც კულტივაცია მოუკლიათ და არც სასუქი. ამიტომაც მუქკლურად დაღვრებს ვანათელთა შაქრის ჭარხლის პლანტაცია. აქაურებს იმედი აქვთ ჰექტარზე საშუალოდ საგეგმო 365 ცენტნერის ნაცვლად 400 ცენტნერი ჭარხალი მოიწონონ.

უფრო მაღალი მიჯნები დაუსახავთ გორის რაიონის ზედულეთის კოლმეურნეობაში, სადაც სოციალისტური შრომის გმირის, მექანიზატორ გ. ცერცვაძის ხელმძღვანელობით შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაცია განახორციელეს და ჰექტარზე 600-700 ცენტნერის მიღებას ვარაუდობენ.

ასეთი მაგალითები ცოტა როდია ქახეთის, ქართლისა და გორის რაიონებში. სწორედ ამან მისცა საშუალება რესპუბლიკის მეჭარხლეებს იბრძოლონ არა მარტო გეგმის შესრულებისათვის, არამედ უფრო მაღალი მიჯნის მიღწევისათვის. მათ გადაწყვეტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 133 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი, რაც 18 ათასი ტონით სჭარბობს გეგმით გათვალისწინებულს.

ამ ვალდებულების განაღდება, უწინარეს ყოვლისა, ძირხვენების ორგანიზებულ აღებაზე, მოსავლისათვის ბრძოლის ამ გადამწყვეტი კამპანიის საგულდაგულო მომზადებაზეა დამოკიდებული. ამიტომ არის, რომ პარტია და მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შაქრის ჭარხლის წლევანდელი მოსავლის დროულ და მაღალხარისხოვან აღებას, გადაზიდვას და გადამუშავებას და დამზადებული ნედლეულიდან შაქრის მაქსიმალურ გამომუშავებას. ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილება ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს ავალებს განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა ორგანიზებულად, საუკეთესო ვადებში და უდანაკარგოდ მოეწყოს შაქრის ჭარხლის მთელი მოსავლის აღება და დაბინავება.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ შაქრის ჭარხლის მოსავლის დროული და მაღალხარისხოვანი აღებისათვის, გატანა-გადამუშავებისათვის, მოწეული მოსავლის დანაკარგების აღკვეთისა და ჭარხლის გადამუშავებისას შაქრის წარმოების გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქვს კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სატრანსპორტო ორგანიზაციებისა და შაქრის ჭარხნების მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას, მოწინავეთა მატერიალურ და მორალურ წახალისებას, მექანიზატორთა შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას. ეს საკითხები მუდამ პარტიული, სამეურნეო და საბჭოთა მუშაკების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

წლეულს, როცა მექარხლეებმა მოსავალს დიდი შრომა-გარჯა მოახმარეს, ვერ შეეგურიგდებით იმას, რომ მოსავლის აღების ცუდი ორგანიზაციის, ძირხვენების დაცვა-შენახვისა და გადამუშავებისადმი სუსტი კონტროლის შედეგად შარშანდელივით ათასობით ტონა შაქრის ჭარხალი დაიკარგოს.

ეს განსაკუთრებით უნდა ახსოვდეთ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებმაც ხელი დააკლეს ჭარხლის ნათესების მოვლას და ამის გამო გეგმების შესრულებას საფრთხე შეუქმნეს. მაგალითად, ხაშურის რაიონის ოსიაურის, ხცისის და სურამის კოლმეურნეობებში ჭარხლის პლანტაციები სრულყოფილად არ დაამუშავეს და რწყვაც დააკლეს; გორის რაიონის მეჯვრისხევის და დიცის კოლმეურნეობებში კი ნათესების პირველი გამოშრობაც არ ჩაუტარებიათ. ცხადია, ამ მეურნეობებში მცირე ჰექტარობები მოსავლიანობა არის მოსალოდნელი და თუ დანაკარგებსაც დაუშვებენ, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს კი არა, გეგმებსაც ვერ შეასრულებენ. ამიტომ მათ თითოეული ძირხვენის გადარჩენისათვის ბრძოლა მართებთ, რისთვისაც ფართოდ უნდა გამოიყენონ მოსავლის ასაღები სამუშაოების ორგანიზაციის იპატოვილეთა გამოცდილება.

მოსავლის ასაღები კონვეიერის რიტმული მუშაობა დიდად არის დამოკიდებული აგრეთვე საქართველოს შაქრის კომბინატის მზადყოფნაზე. მან უნდა უზრუნველყოს ჭარხლის შეუფერხებელი მიღება და მექანიზებული გადმოტვირთვა ყველა სახეობის სატრანსპორტო საშუალებიდან მთელი დღე-ღამის განმავლობაში, არ დაუშვას მათი მოცდენა. ამ საქმეში კომბინატს დიდად შეუწყობს ხელს ჭარხლისა და მისი ნარჩენების გადაზიდვის პნევმოკონტეინერული სისტემა, რომელიც წლეულს ვადაზე ადრე ამუშავდება.

მექარხლეებს და შაქრის კომბინატის მუშაკებს წლის საუკეთესო საბოლოო შედეგისათვის ბრძოლაში დიდად დაეხმარება ის, რომ წლეულს მექარხლეთა შრომის ანაზღაურება ჩაბარებული პროდუქციის შაქრიანობის მიხედვით მოხდება.

მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ჭარხლის მოსავლის აღების დაწყებამდე დარჩენილი ხუთიოდე დღე მაქსიმალურად გამოვიყენოთ ნათესების, ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, მიმღები პუნქტებისა და შაქრის კომბინატის, საავტომობილო გზებისა და ჭარხლის გადასაცლელი მოედნების მომზადებისათვის.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამმართველომ, „საქსახსოფლტექნიკამ“ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ შაქრის ჭარხლის მოსავლის აღებაში ნაკადური და ნაკადურ-გადასაცლელი ხერხების დანერგვას, ჭარხლის ასაღები მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების დროულ ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტს, ამ მიზნით სათადარიგო ნაწილების, კვანძებისა და აგრეგატების საჭირო საცვლელი ფონდის შექმნას.

რესპუბლიკის მექარხლეებს დიდი გამოცდა ელით. მათ სახოფლო-სამეურნეო დამამზადებელ ორგანოებთან, შაქრის კომბინატის, საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებთან ერთად ყველაფერი უნდა იღონონ იმისთვის, რომ საუკეთესო ვადაში და მთლიანად აიღონ მოსავალი, უზრუნველყონ მისი დროული გადაზიდვა, სრული დაცვა-შენახვა და შაქრის მაქსიმალური გამოსავლიანობის მიღება ყოველ ჰექტარ შაქრის ჭარხლის ნათესზე.

საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ შაქრის ჭარხლის მოსავლის აღებასთანავე ნაკვეთები მზრალად იხვნებოდეს და ნიადაგში მინერალური და ორგანული სასუქები შეჰქონდეთ, მტკიცე საფუძველი ეყრებოდეს მომავალ მოსავალს.

ყოველივე ამაში მექარხლეებსა და მათ თანამდგომებს უნდა დაეხმარონ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, რათა ერთიანი მეცადინეობით უთუოდ გადამეტებით შესრულდეს წლევანდელი და მთლიანად ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებები.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრა

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მიწვევით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით 4 ოქტომბერს მოსკოვიდან ბერლინს ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ა. აბრასიმოვი.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ვ. ვ. გრიშინმა, ა. ნ. კოსიგინმა, მ. ა. სუსლოვმა, დ. თ. უსტინოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა პ. ნ. დემიჩევმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ი. ვ. კაპიტონოვმა, ვ. ი. დოლგიხმა, მ. ვ. ზიმიანინმა, მ. ს. გორბაჩოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ბ. პ. ბუკეევმა, ა. ო. ვატჩენკომ, ვ. თ. მალცევმა, გ. ს. პავლოვმა, ნ. მ. პეგოვმა, გ. ე. ცუკანოვმა, ნ. ა. შჩოლოკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებმა მ. პ. გორგაძემ, ს. ა. ცვიგუნმა, გ. კ. ცინევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის მოადგილე მ. ვ. მოგილევცევი.

ბოგოლიუბოვმა, ი. მ. ჩურბანოვმა, სსრ კავშირის მინისტრების პირველმა მოადგილეებმა ი. ლ. ბრეუნევმა, გ. მ. კორნიენკომ, საკდესის გენერალურმა დირექტორმა ს. ა. ლოსევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტმა ე. მ. სამოტეიკინმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ვ. გრაბოვსკი, საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

დელეგაციასთან ერთად გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ლ. მ. ზამიატინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანროვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის მოადგილე მ. ვ. მოგილევცევი.

პიონერებმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, მასთან ერთად ჩამოსულ დელეგაციის წევრებს ა. ა. გრომიკოს, კ. უ. ჩერნენკოს, ნ. ა. ტიხონოვს, ა. ვ. რუსაკოვს, სხვა საბჭოთა სტუმრებს თაიგულები მიართვეს.

დელეგაციის შესახვედრად აეროდრომის საფრენ მინდორზე ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული. მრავალჯერ გაისმის ერთა სალუტის საარტილერიო ზალპები. სრულდება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნები.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. ჰონეკერმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულს.

საბჭოთა დელეგაციისათვის განკუთვნილი რეზიდენციისაკენ მიმავალ გზაზე სტუმრებს გულითადად მიესალმებოდა ათიათასობით ბერლინელი.

სურათზე: აეროდრომზე გაცილების დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

გულთბილი, გულითადი შეხვედრა ბერლინში

ბერლინი, 4 ოქტომბერი. (საკდესის კორ). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ქუჩები საზეიმოდაა მორთული: ოცდაათი წელი უსრულდება გერმანიის მიწა-წყალზე პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო ზეიმზე დღეს ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო საბჭოთა სტუმრებო!“, „მხურვალედ მივესალმებით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს!“, „გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მარადიულ, ურღვევ მეგობრობას!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“ — ასეთი ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით გამოვიდა საბჭოთა სტუმრების შესახვედრად ათიათასობით ბერლინელი.

სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები შენიფელდის აეროდრომზე. აქ დაეშვა სპეციალური ლაინერი, რომლითაც საბჭოთა დელეგაცია ჩამოვიდა.

თვითმფრინავის კიბესთან ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, დელეგაციის წევრებს გულთბილად, ძმურად მიესალმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი.

შეხვედრაში მონაწილეობენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სხვა ოფიციალური პირნი.

სურათზე: შენეფელდის აეროპორტში ლ. ი. ბრეჟნევთან შეხვედრის დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საკავშირო დროშა მოიპოვეს

ფოთი. (საკ. კორ.). ქალაქის მრეწველობის ფლაგმანი, წისქვილ-ქარხნის კოლექტივი თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგებით მან სსრ კავშირის მიერ გამზადების სამინისტროს, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად წლეულს იანვარ-აგვისტოში ქარხნის კოლექტივმა მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა 108,6 პროცენტით შეასრულა. გადაჭარბებით შესრულდა რეალიზაციის დავალებაც. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მილიონ 800 ათასი მანეთის პროდუქცია. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 102,7 პროცენტით, რეალიზაცია — 102,8, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 108,6 პროცენტით.

ყურძენი — მარნებში!

„სამტრესტის“ ცნობით, 4 ოქტომბრისათვის (ტონობით)

რაიონები	1979 წლის გეგმა	3 ოქტომბრის მოცრილი	სულ მოკრეფილია
გურჯაანის	109.300	864	82.919
თელავის	67.000	2.313	57.173
ყვარლის	52.500	777	36.808
ახმეტის	36.500	1.725	24.393
წითელწყაროს	30.800	70	22.423
საგარეჯოს	24.000	1.068	15.876
გოლნისის	12.800	839	10.959
მცხეთის	11.000	167	801
ლაგოდეხის	10.800	419	11.505
ბარდავის	10.700	172	3.568
თეთრი წყაროს	2.700	315	315
ზესტაფონის	26.000	832	8.128
თერჯოლის	21.000	1.048	9.204
მაიაკოვსკის	16.000	193	3.799
ვანის	16.300	410	3.250
აფხაზეთის ასსრ	6.900	319	1.708
საჩხერის	6.000	81	396
ორჯონიკიძის	5.700	116	382
სულ კახეთის რაიონებში	370.400	2.231	294.701
სულ ქართლის რაიონებში	78.590	1.551	35.852
სულ დასავლეთ საქართველოს რაიონებში	126.010	3.418	30.733
სულ რესპუბლიკაში	575.000	12.200	361.286

შარშან ამ დროს მოკრეფილი იყო 265.152 ტონა.

საკარმიდამო ფერმებიდან

გურჯაანი. (საკ. კორ.). დიდი რთველია ვაზის საუფლოში — კახეთში. ჩქაროსნული მეთოდებით იკრიფება და სახელმწიფო მარნებში ბინავდება მევენახის მთელი წლის მუხლჩაუხრელი შრომის ნაყოფი.

რთველის მაჯისცემა მაინც გურჯაანის რაიონით იზომება, რადგან დიდმა რთველმა აქაურების სახელით ჩვენს სამშობლოს 110 ათასი ტონა ყურძენი უნდა მიართვას. ამიტომაც არის, რომ ჩქარობენ გურჯაანელები, უკვე დღისათვის რაიონში დამზადებულია 83 ათას ტონაზე მეტი ყურძენი. აქედან ინდივიდუალურ ჩაბარებლებზე 18 ათას ტონაზე მეტი მოდის.

ჭანდარელმა ლ. ნაცვლიშვილმა სახელმწიფო მარანში უკვე მიიტანა 7 ტონა ყურძენი, მისმა თანასოფლელებმა ე. ცანკაშვილმა — 6,8 ტონა, ი. კვირიაშვილმა, შ. პეტრიაშვილმა და შ. ომსარაშვილმა — 6-6 ტონა; გურჯაანელმა ხ. ვარდიაშვილმა 8.080 კილოგრამი ჩაბარა, გ. ბაზერაშვილმა — 5 ტონა, ა. ტაველაშვილმა — 5 ტონა...

გურჯაანელები, როგორც ყოველთვის, არც წლევანდელ რთველში შეირცხვენენ თავს.

ყველა მაჩვენებლის მიხედვით

თბილისი. დედაქალაქის ივ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების შორის, რომლებმაც ვადაზე ადრე ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს მეათე ხუთწლედის მიმდინარე მეოთხე წლის ივნისის დავალება, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მილიონ 800 ათასი მანეთის პროდუქცია. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 102,7 პროცენტით, რეალიზაცია — 102,8, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 108,6 პროცენტით.

მალე დაიწყება ციტრუსების კრეფა

გათუში. (საქინფორმის კორ.). აჭარაში ციტრუსების არანაკლები მოსავალია. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ წლევანდელი მნიშვნელოვნად გადააჭარბებს 1977 წლის რეკორდულ მოსავალს, რომელმაც ამ მოიკრიფა 120 ათასი ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი.

როგორ ემზადებიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საფუთავი ქარხნები მოსავლის აღებისათვის, დამუშავებისა და გადაზიდვისათვის, რა უნდა ვიღონოთ, რომ საიმედოდ დავიცვათ მოსავალი, აღკვეთოთ სპეკულაციის მიზნით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ციტრუსების გატანა?

ეს საკითხები განიხილეს თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქ ბათუმის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სატრანსპორტო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კოლმეურნეობებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობებისა და საფუთავი ქარხნების დირექტორები.

აჭარის ტროპიკული ზონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 130 ათასი ტონა ციტრუსი. ვალდებულება რეალურია, მაგრამ იგი რომ შესრულდეს, საჭიროა კარგად მოვაწყოთ მუშაობის მთელი კომპლექსი, შემჭიდროებულ ვადებში ავიღოთ მოსავალი.

იქნება 13.000 ტონა

გვალვებსა და სხვა სტიქიურ მოვლენებს როდი შეუშინდნენ ლაგოდეხელი მევენახეები. მათ მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვით მიაღწიეს დიდ წარმატებებს, რაიონის ისტორიაში პირველად გადალახულ იქნა ათიათასიანი მოჯიხა. მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმით გათვალისწინებული 10.800 ტონის ნაცვლად დამზადდა 11.505 ტონა ყურძენი. თავი გამოიჩინეს ვარდისუბნის, აფენის, ფონის, ლეღიანის, ჰაბუკიანის კოლმეურნეობებმა, რომელთა გრძელდება წელს სულ დამზადდება 13.000 ტონა ყურძენი.

ყაირათიანობა კომუნისტის თვისებაა

ვანში რწყვილია

ვანის რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ხუთწლედის მეოთხე ხეზონში სახელმწიფოს მიჰყიდონ 16 ათასი ტონა ყურძენი. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოსავლის აღებას შეუდგნენ. ქარვისფერი მტევნებით დატვირთული ავტომანქანების კოლონები ღვინის ქარხნებისაკენ გაეშურნენ.

რაიონი ერთ-ერთმა პირველმა დაიწყეს ზეინდრის საბჭოთა მეურნეობის მევენახეებმა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 1100 ტონა ყურძენი.

სურათზე: ვანის რაიონის ზეინდრის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდული ბრიგადის წევრი კომკავშირელი ნინო მამასახლისი დღეში 400-500 კილოგრამ ქარვისფერ მტევანს კრეფს.

გ. გერსამიას ფოტო.

შრომამ გამოაჩინა

მჯღოლი

სამცხე-ჯავახეთის ყველა სოფელში იცნობენ ახალციხის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების №2665 ავტოკოლონის მძღოლს ავთანდილ ტაბატაძეს.

იგი ამ საწარმოში ოცდაერთი წლის წინათ მოვიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდისა და გორის სამექანიზაციო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ. ახლა სარაიონთაშორისო ნავთობის ბაზიდან საწვავ-საპოხ მასალას ეზიდება სამცხე-ჯავახეთის ხუთი რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

ავთანდილმა ჯარგად იცის, რომ საწვავ-საპოხი მასალის მომარაგებაზე ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოებრივ მეურნეობათა მუშაობა, სახალხო დოვლათის შექმნა. ავთანდილი დარსა თუ ავდარში სულ გზაშია. იგი არასოდეს არ ამბობს უარს დაცალებაზე, ხშირად დღეში ორ რეისსაც აკეთებს. ზაფხულობით კი ამასაც არ სჯერდება, თავის ავტომანქანას ცისტერნას მიუბამს ხოლმე და ჯერზე 3,5 ტონის ნაცვლად 7 ტონამდე ტვირთი გადააქვს.

მეცხრე ხუთწლედის დავალება მან 200 პროცენტით შეასრულა. რისთვისაც შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. ამ მაღალი ჯილდოს პასუხად მძღოლმა ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა. გადაწყვეტა მეათე ხუთწლედის დავალების სამ წელიწადხახევარში შეესრულებინა. ავთანდილ ტაბატაძემ ცხრა ამჯერადაც საქმედ აქცია. მომავალი, მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში მან უკვე 1044 ტონა ტვირთი გადაზიდა.

ზ. მაისურაძე.

საზოგადოების თანადგომით

დისციპლინის განმტკიცებისათვის და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიის მუშაობის გამოცდილებიდან

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში თანამედროვეულად ხორციელდება სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების ლენინური კურსი. ამის ნათელი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ახლახან მიღებული დადგენილება „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი ყველა პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების პროგრამას წარმოადგენს.

შარშან წლის დასაწყისში პარტიის რაიკომთან შეიქმნა დისციპლინის განმტკიცებისათვის და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო რაიონული კომისია, იგი თავისი საქმიანობის მიზნად ისახავს, ერთის მხრივ, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციას, მეორე მხრივ კი, სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას.

ჯერ კიდევ ამ საკითხის განხილვის დროს აღინიშნა, რომ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ხანგრძლივი და რთული პროცესია, ამიტომ ამ საქმეში ფართო საზოგადოებრივობის ჩაბმა, ყველა ორგანიზაციის ძალისხმევის გაერთიანება აუცილებელი პირობაა. ამ მიზნით კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ რაიკომის მდივნები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელობის წარმომადგენლები. ასე, მაგალითად, შარშან იანვარში გამართულ შეხვედრაზე, რომელშიც საზოგადოებრივ აქტივთან ერთად მონაწილეობდნენ საბავშვო ბაღებისა და ბავშვ-ბაღების, სასწავლო დაწესებულებების მუშაკები, გამოირკვა, რომ ბავშვთა კვების საქმე ცუდად იყო ორგანიზებული, რაც იმანაც გამოიწვია, რომ ტერიტორიულად სასკოლო კვების კომბინატი ორჯონიკიძის რაიონში მდებარეობდა. აღნიშნული გარემოება უარყოფითად მოქმედებდა პროდუქტების დროულად მომარაგებასა და ხარისხიანობაზე. კომისიის წინადადებით, გამოიძებნა საშუალება სასკოლო კვების კომბინატისა და საბიუჯეტო მაღაზიების გასახსნელად რაიონის ტერიტორიაზე „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი ყველა პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების პროგრამას წარმოადგენს.

შარშან წლის დასაწყისში პარტიის რაიკომთან შეიქმნა დისციპლინის განმტკიცებისათვის და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო რაიონული კომისია, იგი თავისი საქმიანობის მიზნად ისახავს, ერთის მხრივ, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციას, მეორე მხრივ კი, სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას.

ჯერ კიდევ ამ საკითხის განხილვის დროს აღინიშნა, რომ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ხანგრძლივი და რთული პროცესია, ამიტომ ამ საქმეში ფართო საზოგადოებრივობის ჩაბმა, ყველა ორგანიზაციის ძალისხმევის გაერთიანება აუცილებელი პირობაა. ამ მიზნით კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ რაიკომის მდივნები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელობის წარმომადგენლები. ასე, მაგალითად, შარშან იანვარში გამართულ შეხვედრაზე, რომელშიც საზოგადოებრივ აქტივთან ერთად მონაწილეობდნენ საბავშვო ბაღებისა და ბავშ-ბაღების, სასწავლო დაწესებულებების მუშაკები, გამოირკვა, რომ ბავშვთა კვების საქმე ცუდად იყო ორგანიზებული, რაც იმანაც გამოიწვია, რომ ტერიტორიულად სასკოლო კვების კომბინატი ორჯონიკიძის რაიონში მდებარეობდა. აღნიშნული გარემოება უარყოფითად მოქმედებდა პროდუქტების დროულად მომარაგებასა და ხარისხიანობაზე. კომისიის წინადადებით, გამოიძებნა საშუალება სასკოლო კვების კომბინატისა და საბიუჯეტო მაღაზიების გასახსნელად რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული რაკავებაჭრობისა და რაიხლებოსტანგაჭრობის ქსელების ბაზაზე. შემდგომში ეს საკითხი რამდენჯერმე განიხილეს კომისიის სხდომაზე, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა სასკოლო კვების ორგანიზაცია.

რაიონის მთელ რიგ წარმოებადაწესებულებებში მშრომელებთან შეხვედრების დროს რაიონული კომისიის წევრთა ყურადღებას მიაპყრობდნენ მუშა-მოსამსახურეთა სასადილოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ადგილებზე საქმის მდგომარეობის შესწავლა, მისი განხილვა კომისიის და შემდგომში რაიკომის ბიუროს სხდომაზე საფუძვლად დაედო მდგომარეობის ძირეულ გაუმჯობესებას.

კომისიის საქმიანობის ერთი ძირითადი მიმართულებაა წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, არსებულ ნაკლოვანებათა გამოვლენისა და აღმოფხვრისათვის განუხრელი ზრუნვა. კომისიის მუშაობის ყურადღების ცენტრში დგას სამშენებლო ობიექტების დროული ამოქმედებისა და საშენი მასალების ეკონომიური ხარჯვის, ტრანსპორტის მოძრაობის პრობლემები. ამ საკითხების მოგვარებაში კომისიის რეკომენდაციებმა სასურველი შედეგი მოგვცა.

კომისიის საქმიანობის მუდმივი ზრუნვის საგანია მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესება, ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ თანმიმდევრული და უკომპრომისო ბრძოლა. კომისიის წინადადებით შესწავლილია რაიონის ტერიტორიაზე სავაჭრო ობიექტების დისლოკაციის საკითხი. ჩვენი თხოვნით თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველომ გორგასალის ქუჩაზე გაფართოება რაკავებაჭრობის ობიექტები გაერთიანების საფუძველზე.

ჩვენი კომისიის ინიციატივით მოწყო „კულტსამეურნეოვაჭრობის“ ფირმის მეთაური საწარმოს მუშაკთა ჯგუფის შემოქმედებითი მივლინებები მოსკოვსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ჩვენს მუშაობაში ვცდილობთ სულ უფრო მეტად დავეყრდნოთ მოსახლეობის დახმარებას. ამის მაგალითია სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერების საქმეში მათი ხელშეწყობა. ქერძოდ, ფონიჭალის დასახლების წარმომადგენელთა მონაწილეობით ჩვენ შევისწავლეთ, ხოლო შემდგომ რაიკომის ბიუროზე განსახილველად შევიტანეთ მიკრორაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობა. იმ პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღოდათ უხეშ დარღვევებში, დაედოთ მკაცრი პარტიული სასჯელები.

დისციპლინა ყველგან და ყველაფერში თითოეული კოლექტივის, თითოეული მშრომელის ყოველდღიური ცხოვრების წესად უნდა ვაქციოთ. კომისიის გადაწყვეტილებებით ყოველი კვირის მანძილზე შრომითს კოლექტივებში მოწმდება სამუშაოზე დროული გამოცხადება და წასვლა, განსაკუთრებით ღამის ცვლის დროს. განზრახული გვაქვს შევისწავლოთ არა მარტო სამუშაოზე მოსვლისა და წასვლის მდგომარეობა, არამედ სამუშაო დროის განმავლობაში თანამშრომელთა დატვირთვაც.

ინფორმაციის ანალიზმა, რომელსაც შრომის დისციპლინის აღრიცხვის ფორმა ყოველდღე, ზოგიერთ საწარმოში ნელდნელის გადახარჯვის ფაქტები გამოავლინა. შევისწავლეთ ნელდნელის გამოყენების საკითხი, შევაჯამეშრომით საქმის მდგომარეობა და დავრწმუნდით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საწარმოებში ნელდნელის ხარჯვისადმი არ არის დაწესებული შესაბამისი კონტროლი. ეს საკითხი ვაქციეთ კომისიის სხდომაზე სპეციალური მსჯელობის საგნად. მისი წინადადებით, რაიონის სამრეწველო საწარმოებში მოვაწყვეთ ნელდნელისა და მასალების ეკონომიურად ხარჯვის დათვალიერება-კონკურსი.

ასევე, მშრომელთა სიგნალების თანახმად. შევისწავლეთ არასრულწლოვანთა შორის შრომის კანონმდებლობის დაცვის საკითხი, გამოვავლინეთ ფაქტები, როცა სარამოს სკოლის მოსწავლეები, დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები არ სარგებლობდნენ მათთვის დაწესებული შეღავათებით. ამჟამად ამ საკითხს კომისია სისტემატიურად აკონტროლებს.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებულმა დისციპლინის განმტკიცებისათვის და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკურმა საკოორდინაციო კომისიამ მოისმინა ინფორმაცია ჩვენი რაიონის ანალოგიური კომისიის მუშაობის შესახებ და დადებითად შეაფასა იგი. ამავე დროს დასახა ამოცანები, რომლებიც გასათვალისწინებელია შემდგომი მუშაობისათვის. ჩვენ ჯარგად გვესმის, რომ კომისიას თავის მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. საჭიროა კიდევ უფრო გავაფართოოთ აქტივი, მივიზიდოთ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად წარმოების მოწინავენი, რიგითი მუშები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, რაიონის მცხოვრებლები.

ა. ლომიძე,
საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი.

გრაფიკის გასწრებით

სურათზე: კომპლექსური ბრიგადის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. ბერიაშვილი, ა. ცერცვაძე, ხ. სონღულაია, გ. ვაშაკიძე და ბრიგადირი ბ. ბოკუჩავა.

ფ. კრიმსკის ფოტო

რუსთავი

ქიმიური ქარხნის მშენებლობის ტემპი მატულობს. მშენებელთა და მემონტაჟეთა მთავარი მიზანია გრაფიკის გასწრებით გადასცენ საექსპლოატაციოდ სამი ასამოქმედებელი ობიექტი: ამიაკის, სუსტი აზოტმჟავასა და ამონიუმის გვარჯილის საამქროები.

ამიაკის საამქროს სამშენებლო მოედანზე დაიწყო დიდი სამონტაჟო სამუშაოები: სწრაფად შენდება ლითონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების უზარმაზარი კორპუსები. მშენებელთა შორის ათიან-15-ეე მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები — 2000-ზე მეტი კაცი. მათი დევიზია „ხუთწლედის დამკვრელურ მშენებლობაზე . დამკვრელურად ვიმუშაოთ!“.

ორი ფურცელი — „ელვა“, რომლებიც ამ დღეებში გაჩნდა ტერიტორიაზე, სადაც მალე ამუშავდება ამიაკის საამქრო, გვაუწყებს, რომ რუსთავის სამშენებლო სამმართველოს „ქიმმრეწმშენის“ კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც ნ. ნადირაძე ხელმძღვანელობს, და სამონტაჟო სამმართველოს ვ. აგაპოვის ბრიგადამ მუშაობა ნოემბრის ანგარიშში დაიწყეს.

ორივე ეს ბრიგადა სამაგალითოა მშენებლობაზე. ნ. ნადირაძის ბრიგადის წევრები საკმაოდ კარგად დაეუფლნენ კალატოზის, ზონკლის, ხუროს სპეციალობებს, სამშენებლო პროცესების შესრულება შეუძლიათ ვ. აგაპოვის ბრიგადის წევრ მემონტაჟეებსაც.

მშენებლობის შტაბი ყოველდღიურად აკმაყებს საწარმოო ობიექტების საექსპლოატაციოდ ვადამდე გადაცემისათვის გაწეული შეჯიბრების შედეგებს. გამარჯვებულთა სამუშაო ადგილას აღმართავენ ხოლმე წითელ დროშას — დღის საუკეთესო ბრიგადის სიმბოლოს.

ზედიზედ რამდენიმე დღეა გამარჯვების დროშა ფრიალებს ამიაკის საამქროს მთავარი კორპუსის 30-მეტრიან ნიშნულზე. ეს ჯერჯერობით ყველაზე მაღალი მწვერვალი მოედანზე, პირველმა დაიპყრეს მემაღლეებ აგაპოვლებმა.

დადად ნაყოფიერად შრომობდნენ ი. ჯავახიშვილის, ნ. კენკებაშვილის, ბ. პშენიჩნის და სხვათა ბრიგადებიც.

მშენებლობის ხელმძღვანელობის შტაბი კეთილსინდისიერ გამოცდილებას ახდენს საქმის მსჯელობაზე, ტექშეზე, რიტმულობასა და ხარისხზე, ცალკეული ქვეგანაყოფების მუშაობაზე.

მაგალითად, მშენებლობაში მონაწილეობს 35 სამშენებლო და სამონტაჟო სამმართველო, 3 სატრანსპორტო საწარმო, 2 სამშენებლო მექანიზაციის სამმართველო, ათამდე სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ინსტიტუტი. საშენ მასალებს, მექანიზმებს, ენერგეტიკულ და ქიმიურ მოწყობილობას რუსთავის ქიმიურ ქარხანას საბჭოთა კავშირის 200-მდე საწარმო აწვდის.

სულაც არ არის იოლი „ერთ სამუშაოზე, პრეტენზიების დრო ჯერ არ გასულა. ჯერ კიდევ აკლიათ ბევრი არასტანდარტული მოწყობილობა ამონიუმის გვარჯილის საამქროში — 45 პროცენტი და აზოტმჟავას საამქროში — 70 პროცენტი.

აკლიათ ელექტროქიმიური მოწყობილობა, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები.

აქ ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან ეს და სხვა ნაკლოვანებანი.

მშენებლები ასრულებენ თავიანთ პირობას, რომ ქარხნის სამივე ძირითად ობიექტს საექსპლოატაციოდ გადასცემენ. გამოვიკითხეთ, მზად არის თუ არა საწარმო ახალი საამქროების მისაღებად. ქარხნის დირექტორთან გ. გოგოლაძესთან, მთავარ ინჟინერთან ზ. კერვალიშვილთან და სხვებთან საუბრისას გამოირკვა, რომ მთავარ პრობლემად ჯერ კიდევ რჩება ის, რომ საკმაოდ უზრუნველყოფილი არ არიან ქადრებით, უწინარეს ყოვლისა მაღალი კვალიფიკაციის ქადრებით. პრობლემის გადასაწყვეტად ღონისძიებებს, რა თქმა უნდა, ახორციელებენ. ქალაქებში სვერდლოვსკსა და ჩერკასში, სადაც მუშაობენ იმ პროფილის ქადრების მომზადებელი სპეციალური სასწავლო ცენტრები, რომელიც რუსთავის ქიმიურ ქარხანას სჭირდება, გაიგზავნა ახალგაზრდა მუშაკთა ორი ჯგუფი.

რუსთავში დაბარუნების შემდეგ ისინი მონაწილეობას მიიღებენ ასამუშავებელ-გასამართავ სამუშაოებში, რათა შემდგომ სათავეში ჩაუდგნენ წარმოებათა ყველაზე პასუხსაგებ უბნებს. განსაკუთრებით რთულ მოწყობილობას თავდაპირველად აითვისებენ ინჟინრები, შემდეგ ისინი გახდებიან მუშათა ინსტრუქტორები. დაწესებულია ინჟინრების, საშუალო და განსაკუთრებით მაღალი რგოლის ხელმძღვანელების, სპეციალისტების და ბრიგადირების ატესტაციის სისტემა. ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომ ახალ საამქროებში შეიქმნას პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც დიდ ყურადღებას დაუთმობენ კადრების საკითხს.

მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. საჭიროა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, პროფკავშირების, მონათესავე დარგების საწარმოებისა და მეცნიერთა დახმარებაც.

რუსთავი არა მარტო შავი მეტალურგიის ქალაქია, არამედ საქართველოს დიდი ქიმიის ცენტრიც არის. ქადრები, რა თქმა უნდა, ყველგან ძალზე სჭირდებათ. მათი შენარჩუნება შეიძლება, თუ შრომისა და ყოფა-ცხოვრების კარგ პირობებს შეუქმნიან. ამ მიმართულებითაც ბევრი რამ კეთდება. ქიმიკოსებს უშენებენ კეთილმოწყობილ სახლებს, საერთო საცხოვრებლებს, კულტურულ და სპორტულ ნაგებობებს, თიხქმის დამთავრდა დიდი სპორტული ნაგებობის მშენებლობა; კარგად მუშაობს ქარხნის სავაჭრო ქსელი. მაგრამ ამჟერადაც ხდება ხოლმე, რომ მშენებლები ობიექტებს აბარებენ ხარვეზებით, ნელა წყდება ელექტრომომარაგების, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის გაყვანის საკითხები.

ქალაქის პარტიული ორგანიზაცია, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ამა თუ იმ დღეს დიდი ქიმიის ახალი ობიექტების მშენებლობის ეფექტიანობა, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი, ვადამდე გადაეცეს ისინი საექსპლოატაციოდ და ავითვისებულ იქნეს საწარმოო სიმძლავრეები.

დიდი ქიმია ფრთას შლის, ახალ მწვერვალებს იპყრობს.

დ. რამიშვილი,
„კომუნისტის“ ხაე. კორ.

დიდი ქიმიის მშენებლობებზე

რუსთავი ვალში არიან

თბილისი!

სოფელს განათლებული ბრიგადირი სჭირდება

მეურნეობათა საშუალო რგოლის კადრების მომზადებას — მეტი ყურადღება!

სკკპ **ცენტრალური** კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმმა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, სოფლად მმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისა და საერთოდ პროდუქციის წარმოების გადიდების დიდმნიშვნელოვანი პრობგრამა შეიმუშავა.

ამ პლენუმზე დიდი ყურადღება მიექცა საზოგადოებრივ მეურნეობათა საშუალო რგოლის (ბრიგადის, განყოფილების და სხვა.) ქალიფიციური კადრებით განმტკიცების საკითხს. ამის თაობაზე სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შემდგომში სპეციალური დადგენილებაც მიიღო. ამ საკითხს შეუნელებელ ყურადღებას უთმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ყოველივე ეს ახალი ამოცანების წინაშე აყენებს უმაღლეს სასწავლებლებს. მათი საპატიო მოვალეობაა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოუმზადონ საშუალო რგოლის ქალიფიციური კადრები.

ამ მხრივ საინტერესო ინიციატივა გამოიჩინეს თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

— როგორც ცნობილია, ამჟამად, თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ბევრი სტუდენტი, ძირითადი პროფესიის პარალელურად, მეორე პროფესიასაც იძენს. ეს კარგი და სასარგებლო საქმეა, — თქვა ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა ნ. ქორთუამ, — პარტია უმაღლეს სასწავლებლებისაგან მოითხოვს საზოგადოებრივ მეურნეობათა საშუალო რგოლის ხელმძღვანელი კადრების მომზადების საქმის ძირეულ გაუმჯობესებას.

ამჟამად სოფლად პედაგოგიური კადრების ნაკლებობა აღარ იგრძნობა, ხშირად უმაღლესი განათლების ახალგაზრდა პროფილის მიხედვით ხკოლაში სამუშაოს ვერ შოულობს და არ იცის, რა გააკეთოს. ამიტომაც ჩვენ გადავწყვიტეთ მომდინარე სასწავლო წლიდან სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს შევაძენინოთ მეორე პროფესია.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ამ დასკვნამდე იმანაც მიიყვანა, რომ მათ მჭიდრო კავშირი აქვთ ახლოთის რაიონების მეურნეობებთან, მეცხოველეებთან, მემანდარინეებთან: ზაფხულის განმავლობაში თელავის ინსტიტუტის სტუდენტთა შრომითი რაზმები ენერგიულად შრომობენ მინდვრებსა და ზვრებში, ფერმებში. ბოლო სამ წელიწადში მათ 700 ჰექტარამდე ნათესები დაამუშავეს. შარშან მათ 5.000 ტონა ყურძენი მოკრიფეს, მომდინარე წელს კი რთველის დაწყებამდე ოცი შეასრულეს 150 ათასი მანეთის სამუშაოები. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა წელს მოკრიფონ 6 ათასი ტონა ყურძენი, 100 ჰექტარზე აიღონ საშემოდგომო სიმინდი, პირუტყვს დაუმზადონ 100 ტონა უხეში საკვები.

ასეთმა მჭიდრო კონტაქტებმა საშუალება მოგვცა გაგვერკვია, რომელ რგოლში აკლიათ კადრები საზოგადოებრივ მეურნეობებს. **ჩვენ ვხედავთ, რომ სოფლის მეურნეობის საშუალო რგოლში ამ მხრივ არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა, ვხედავთ ისეთ ფაქტებსაც, როცა ბრიგადირად მუშაობს გაუვსებელი კაცი. რა თქმა უნდა, ეს ამბავი, ისევე როგორც ყველას, ჩვენც გვაღელვებს.**

ჩვენი გადაწყვეტილებაა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, ძირითად პროფესიასთან ერთად, დავაუფლოთ სოფლის მეურნეობის სპეციალობებს (ტექნიკუმების პროგრამით). სამისოდ ინსტიტუტს შეხაძლებლობა აქვს მოიწვიოს ქ. თელავში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სადგურების, ტექნიკუმების მაღალკვალიფიციური მეცნიერი მუშაკები.

ვფიქრობთ, ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტები მეორე პროფესიას მეორე-მესამე კურსიდან დავაუფლოთ და წელიწადში მოვამზადოთ 100 საშუალო რგოლის სპეციალისტი.

ამ საქმეში აუცილებლად დაგვჭირდება რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებაც იმ მხრივ, თუ გამოგვიყოფდნენ დამხმარე მეურნეობის გარკვეულ ფართობს, სადაც გავაშენებდით ვენახს, ხეხილის ბაღს და სხვ. ეს სარგებლობას მოუტანდა ინსტიტუტსაც, ამავე დროს ხელს შეუწყობდა იმას, რომ სტუდენტები წარმატებით დაეუფლონ მეორე პროფესიას.

შეიძლება მკითხველს დაებადოს კითხვა — განა ტექნიკუმები ვერ ამზადებენ სათანადო კადრებს? როგორ არა, ამზადებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ლაპარაკი გვაქვს პედაგოგის მეორე პროფესიაზე. სოფლად მომუშავე პედაგოგი კარგად უნდა იყოს ჩახედული სამეურნეო საქმეებში, უნდა შესწვდეს იმის უნარი, რომ დაინტერესებულ მოსწავლეებს გასცეს ზუსტი პასუხი და, რაც მთავარია, წარმატებით იმუშაოს სოფლის მეურნეობაში.

ამიტომ ინსტიტუტის რექტორატი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები გადაწყვიტეს ინსტრუქტორ-მეთოდისტის ფაკულტეტზე სასწავლო წლიდან სოფლის მეურნეობის საშუალო რგოლში სამუშაოდ ნებაყოფლობის პრინციპით, მოამზადონ ახალგაზრდები, ხელი შეუწყონ მათ მეორე პროფესიის დაუფლებაში. ვფიქრობთ, არ იქნება ურიგო კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების საშუალო რგოლს უძღვებოდნენ ერუდირებული, მაღალკვალიფიციური ბრიგადირები, მექანიზატორები.

თელავის ინსტიტუტი, კისრულობს რა ამ ვალდებულებებს, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის, გორის, ცხინვალის, ქუთაისის, ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებს მოუწოდებს მიბაძონ მას, ქვეყანას მოუმზადონ საშუალო რგოლში სამუშაოდ გამოსაყენებელი მაღალკვალიფიციური კადრები, რითაც საპატიო წვლილს შეიტანენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის დადგენილების განხორციელების საქმეში.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 5 (1979 წ. 6 ივნისი)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ინფორმაცია — 79

„კომუნისტისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები გაძღომოგვცემენ

ბავშვებს მოსწონთ, სჭირდებათ!

ორგორი მილიონი ქილა სურსელოვანი წვენი, მურაბა, ჯემი მიიღეს ბოსტნეულისა და ხილის ჯადამუშავების სეზონის დამდეგიდან ქვეყნის ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონების ბავშვებმა. ამ ვიტამინიან პროდუქციას რესპუბლიკის საკონსერვო საწარმოები ყოველდღიურად დაახლოებით 380 მილიონ ქილას უშვებენ.

...გორის საკონსერვო მრეწველობის საწარმოო-ავარაული გაერთიანება. მხარშავი ნ. ჯოხაძე კნოპ თითს აჭერს და ლენტური ტრანსპორტიორით უწყვეტ ნაკადად მოედინება პატარა მინის ქილები, რომლებსაც ლამაზი ეტიკეტები აქვს. ქილებში მიმდინარე სეზონის სიახლეა: თავისსავე წვენში ჩაწყობული ვაშლი.

საბავშვო პროდუქციის გამოშვებაზე გაერთიანებაში დასაქმებულია 80 ქალი. ნადეჟდა ჯოხაძე მხარშავედ ოც წელზე მეტია მუშაობს. მის მიერ შეთავაზებული რეცეპტურით წელს უშვებენ ხილბოსტნეულის ნარევს ყველაზე პატარა ბისათვის. იგი მოეწონათ ყმაწვილებს.

სწორედ ნ. ჯოხაძეს მიანდეს ინდოელი ბავშვებისათვის პროდუქციის დამზადება, სადაც ზოგიერთ რაიონში გამოაკლდნენ ბავშვთა ავიტამინოზი.

— საბავშვო კონსერვების დამზადება სამი წლის წინათ დავიწყეთ, როცა გორში შეიქმნა სპეციალიზებული საამქრო, — თქვა გაერთიანება „საკონსერვის“ მმართველმა დ. კეკენაძემ, — ახლა ასეთი წარმოებები არის დარგის ყველა საწარმოში, წელს, რომელიც ბავშვის საერთაშორისო წლად არის გამოცხადებული, გაერთიანების კოლექტივმა გადაწყვიტა პატარებისათვის გამოუშვას ასი მილიონი ქილა სხვადასხვა საკონსერვო ნაწარმი, 25 მილიონით მეტი ვიდრე შარშან. ბევრი რამ კეთდება ასორტიმენტის გაფართოებისათვის. ახალი პროდუქტების შექმნის დროს სპეციალისტები ითვალისწინებენ დიეტოლოგთა რეკომენდაციებს. ბავშვებისათვის დამზადებული ყველა კონსერვი გამოირჩევა მაღალი გემოვნით და ყუთთანაც. თვისებებით და მათ უმრავლესობას ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვს მინიშნებული.

●●

კულტურის ძეგლთა რესტავრაციისათვის

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ეთმობა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვას, წლითიწლობით მატულობს ასიგნებანი მათი კონსერვაციისა და აღდგენისათვის.

რესპუბლიკაში 12 ათასი ძეგლია. სიძველის ძეგლთა დაცვის შესახებ კანონის მიღების შემდეგ ბევრი მათგანი რესტავრირებულია (ვარძია, ბეთანია, ზარზმა, ანდრიაწმინდა, კარდანახი, გერგეტი და სხვ.).

ყოველწლიურად მატულობს სახსრები, რომლებიც განკუთვნილია ძეგლების აღდგენით სამუშაოებისა და მოვლისათვის.

10 ოქტომბერს რესპუბლიკაში გაიმართება ფულისა და ნივთების ლატარიის დამატებითი ტირაჟი. მიღებული სახსრების გარკვეული ნაწილი მოხმარდება საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვისა და მოვლის შემდგომ სრულყოფას.

ტირაჟში გათამაშდება ავტომობილები „ვოლგა“, „ჟიგული“, „მოსკვიჩი“, ისტორიული ადგილების სავზურები, და სხვა ფასიანი ნივთმრგებით. აქრეთვე ფულადი მოგება 500, 300, 250 და 200 მანეთის ოდენობით.

●●

ქვირფახი სტუმრები

იწყება ჩეხოსლოვაკიური ლიტერატურის დღეები

საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის ინიციატივით 5-7 ოქტომბერს საქართველოში ეწყობა ჩეხოსლოვაკიური ლიტერატურის დღეები. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა იოსებ ნონეშვილმა „კომუნისტის“ კორესპონდენტს აცნობა:

— დღეს, 5 ოქტომბერს თბილისში ჩამოდიან ჩეხოსლოვაკიელი მხატვრული სიტყვის ოსტატები, საბჭოთა კავშირში ჩეხოსლოვაკიის ლიტერატურის დღეების მონაწილეთა ერთი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩეხოსლოვაკიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ანა კოზაკი.

ამ დღეებს განმავლობაში ჩეხოსლოვაკიელი მწერლები შეხვდებიან საქართველოს მშრომელებს, სტუდენტ ახალგაზრდობას, თავიანთ ქართველ თანამოკალმეებს, გაეცნობიან დედაქალაქისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს, მუზეუმებს, კულტურის ძეგლებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საგარეჯოში გაიმართება ჩეხოსლოვაკიური ლიტერატურის საღამოები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც სტუმრები, ისე ქართველი მწერლები, კულტურის მოღვაწეები, მშრომელები, ახალგაზრდობა.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲔᲥᲝ

„ᲕᲔᲤᲮᲕᲘ ᲢᲝᲛᲐᲠᲐᲨᲘ“

თბილისის „დინამოსა“ და „ლივერპულის“ მატჩში მეორე ბურთის შემდეგ, რომელიც ოსტატურად გაიტანა რ. შენგელაიამ, დინამოელთა უფროსი მწვრთნელი ნ. ახალაცი ზეზე წამოხტა. მშვიდი გოგის შემდეგ, როცა ა. ჩივაძემ ზუსტად შეასრულა თერმოტექმეტრიანი საჯარიმო დარტყმა, მწვრთნელმა ხელები აღმართა ტრიბუნებისაკენ, ალბათ, რომ იშვიათად ემართება მშვიდ მწვრთნელს.

— ჩვენ გვჯეროდა გამარჯვებისა, — თქვა მან მატჩის შემდეგ, — მაგრამ დიდმა ანგარიშმა ყველა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. ფეხბურთელებმა ზუსტად შეასრულეს დავალება, ჩვენ საშუალება არ მოვეცით მეტოქეს ფლანგებიდან შემოეტია და შემდეგ ბურთი საჯარიმო მოედნის ცენტრში ჩაგწოდებინა. ინგლისელებს ხომ თავით თამაშის დიდი ოსტატები არიან.

„ლივერპულის“ მწვრთნელი ბ. პეისლი დაბნეული და შეწუხებული ჩანდა. მას სულ რამდენიმე ფრაზა დააცდენინეს: დინამოელებმა გვჯობეს. მათ დაგვკაბნეს ტექნიკასა და იმპროვიზაციაში. ყიფიანი რომ ბურთს მიიღებდა, გამაყრილებდა ხოლმე. პირველი მატჩის წინ თბილისის „დინამო“, ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, ჩვენთვის „ტომარაში დამწყვდეული კატა“ იყო, თურმე ტომარაში ვეფხვი ყოფილა, — სერიოზულად დასძინა ბ. პეისლიმ.

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელის ნ. მოსიაშვილის აზრით, ინგლისელებმა საკუთარი ძალების რწმენა უკვე პირველი მატჩის შემდეგ დაკარგეს ლივერპულში, სადაც დინამოელებმა შემტევი ფეხბურთი აჩვენეს.

„ლივერპულს“ ინგლისელი ჟურნალისტების დიდი ჯგუფი ახლდა — პრესის, ტელევიზიისა და რადიოს 25 წარმომადგენელი.

— პირველსა და მეორე მატჩში ჩვენ ორი სხვადასხვანაირი „დინამო“ ვიხილეთ, — თქვა გაზეთ „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტმა დ. კეიტმა. — ლივერპულში დინამოელები პირდაპირ შეტევაზე გადავიდნენ, შინ კი აუჩქარებელი პოზიციური თამაში ამჯობინეს. ჩვენი ფეხბურთელები აშკარად არ ელოდნენ მოვლენების ასეთ განვითარებას. დინამოელებმა თავგზა აუბნიეს ინგლისელ მწვრთნელებს. ქართველი ფეხბურთელები უკეთ შეეგუენ სველ მინდორს. მოთხილამურეთა ტერმინოლოგიის თუ გამოვიყენებთ, ჩვენმა მოთამაშეებმა ვერ შესძლეს ამინდის შესაფერისი „სკის“ შერჩევა.

ყველა ინგლისელმა ჟურნალისტმა მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად ერთსულოვნად აღიარა დ. ყიფიანი, მ. მაჩაიძე, და ვ. გუცაევი. მათ დიდი ქებით მოიხსენიეს ქართველი გულმატკივარებიც. (საქინფორმის კორ.).

ᲛᲐᲡᲘᲜᲯᲔᲑᲛᲐ ᲙᲐᲠᲘ ᲩᲐᲠᲐᲖᲔ...

უკანასკნელ ხანს ჩვენი საფეხბურთო ჟურნალისტიკის ტონი კრიტიკული გახდა. ამისათვის ყველა საფუძველი გვაქვს. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ, როცა ამ ძნელ სამუშაოს ასრულებ, ყოველთვის იმედი გაქვს ერთხელაც იქნება დადგება მომენტი, როცა რაღაცამ შეიძლება აშკარად გაგაბაროს, აღტაცებაში მოგიყვანოს. ფეხბურთი ხომ თავისი ბუნებით ოპტიმისტურია და მარტო ფიქრი და საზრუნავი არ უნდა მოჰქონდეს. ჩვენი ჩემპიონის — თბილისის „დინამოს“ მატჩი ინგლისის ჩემპიონთან „ლივერპულ თან“ სწორედ ასეთი მომენტი იყო.

თავისთავად თბილისელთა წარმატება უკვე სასიამოვნოა. მაგრამ მინდა გამოვყო ორი გარემოება. თუ წინათ თბილისის „დინამო“ ერთგვარად შედრკებოდა და ფარხმალს დაყრიდა ხოლმე ტიტულოვანი მოწინააღმდეგეების წინაშე, ამჯერად გუნდმა სრული თავდაჯერება გამოიჩინა და მინდორზე ისე იქცეოდა, თითქოს თავის გამარჯვებაში არავითარი ეჭვი არ ეპარებოდა. და მეორე: „ლივერპული“ მარტო კი არ დამარცხდა, არამედ მან მთლიანად წააგო ეს მატჩი ყველა კომპონენტით. თბილისელებმა მეტოქეს შესთავაზეს ტექნიკური, სწრაფი, ნებისყოფიანი თამაში და გაიმარჯვეს კიდეც. მატჩის სხვანაირ განმარტებას ვერ ვხედავ, შემთხვევითი წარმატებანი, რომლებიც ზოგჯერ გუნდებს ეხმარება ხოლმე, ამ შემთხვევაში გამორიცხული გახლდათ. უჩვეულო მხოლოდ ის იყო, რომ სტუმართმოყვარე მასპინძლებმა ფეხბურთის სამყაროს ჯენტლმენებს ამჯერად „საგულდაგულოდ გადაურაზეს თავიანთი კარი“.

მეტისმეტი ხომ არ იქნება ყოველივე ნათქვამის შემდეგ ტრადიციული „მაგრამ“? ვიჭიროთ, რომ არა. თურმე „ლივერპულის“ დამარცხება შეიძლება. მაგრამ განა ყველაფერია ამით ნათქვამი? მინდა შეგახსენოთ, რომ ამ კლუბმა უკანასკნელ სეზონებში მთელ ევროპას ჯეხილივით გადაუარა თავისი სიმტკიცისა და თანმიმდევრობის მეოხებით, რაც მან ბევრ ხანგრძლივ ტურნირში გამოაელინა. და მინდა თბილისელებს ვუსურვო მიეღოთ ესტაფეტა თავის მიერვე დამარცხებული გუნდისაგან და ასევე გულდაჯერებით ეცლოთ წინ. მხოლოდ ამ შემთხვევაში გვეკნება უფლება ვთქვათ, რომ თბილისის „დინამო“ საერთაშორისო კლასის გუნდია, რომლის ნიჭიერებაში ეჭვი არავის არ ეპარებოდა.

ახლა, როცა მეტისმეტად გვაწუხებს ჩვენი ნაკრების წარუმატებლობა ევროპის ჩემპიონატში, რაშიც, რა თქმა უნდა საკლებო ფეხბურთის სისუსტე აისახა, მე მგონია, ზოგიერთი ჩვენი კლუბი იწყებს იმ აპათიის დაძლევას, რომელსაც ისინი განიცდიდნენ, და წინანდელზე უფრო გაბედულ ამოცანებს ისახავენ.

ლ. ᲤᲘᲚᲐᲢᲝᲕᲘ,
საკდესის ფეხბურთის მიმომხილველი.

ᲙᲐᲓ, ᲠᲐ, ᲠᲝᲓᲘᲡ

გუშინ, დღეს, ხვალ

რიო-დე-ჟანეიროში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო ტურნირები.

ქალთა ასპარეზობის მერვე ტურში ნანა იოსელიანი თავისუფალი იყო. ამ სიტუაციაშიც მას არათუ ვინმემ გაუსწრო, ვერც კი დაიწია. შეგახსენებთ, იოსელიანს 7 ქულა აქვს. მას მიუახლოვდა ნანა ალექსანდრია, რომელმაც მერვე ტურში დაამარცხა ბრაზილიელი რუტ ჯარდოსო. ალექსანდრიას ახლა 6 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

ვაჟთა შეჯიბრების მეცხრე ტურში თავისუფალი იყვნენ ტიგრან პეტროსიანი და იური ბალაშოვი. გათამაშების ლიდერია რობერტ ჰიუბნერი — 5,5 ქულა (1 გადადებული პარტია). პეტროსიანსაც 5,5 ქულა აქვს, ლაიოშ პორტიშს (უნგრეთი) — 4,5 (2), ვიქტორ ხორტს (ნიდერლანდები) — 4,5 (1), ბალაშოვს — 4,5.

გუშინ დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 27-ე ტური. გაიმართა ერთი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და „ნეფთჩი“. გაიმარჯვეს არმიელებმა — 2:1.

ველოსპორტი. დასრულდა სსრ კავშირის ჩემპიონატი მრავალდღიან ველორბოლაში, რომელიც ყირიმის გზებზე მიმდინარეობდა. პირად ასპარეზობაში ყველას აჯობა დუშანბელმა საიდ ჰუსეინოვმა. მან 1294 კილომეტრი 35 საათში, 32 წუთსა და 35 წამში გაიარა. მასთან მხოლოდ 13 წამი წააგო მინსკელმა ალექსანდრე კისლიაკმა. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ტარტუელ აავო პიკუტუსს. გუნდურ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ნაკრების წევრებმა.

1966 წლის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ქალაქ ბაქოში 1979 წლის 30 სექტემბერს გამარული 106-ე მოგებათა ტირაჟის

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მოგება ხვდა სესხის ოთხასი ექვსასი ობლიგაციების ობლიგაციებს შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება
100648	09*)	500	132463	08*)	2500	168089	27*)	5
100886	1—50	100	132872	47*)	500	168123	1—50	
101885	38*)	500	133010	1—50	40	168395	1—50	
102208	04*)	1000	133189	1—50	40	168782	35*)	50
102260	1—50	100	134763	1—50	40	169090	07*)	5
102385	37*)	500	134932	47*)	500	169566	03*)	5
102413	06*)	500	135412	01*)	500	169701	02*)	10
102843	18*)	500	136013	49*)	500	169810	1—50	
103014	25*)	1000	136526	15*)	1000	170815	49*)	10
103457	19*)	500	137192	1—50	40	170862	24*)	5
103597	1—50	100	137971	49*)	500	170913	35*)	5
103810	41*)	500	138791	1—50	100	171355	1—50	
103822	12*)	500	139179	42*)	500	171957	1—50	
104651	05*)	500	139537	10*)	500	172922	36*)	5
105768	28*)	500	140528	03*)	5000	173974	48*)	5
106248	1—50	40	141180	28*)	500	174412	1—50	1
106427	39*)	500	141232	1—50	40	175160	28*)	5
106889	01*)	500	141705	1—50	40	175316	46*)	5
107385	27*)	1000	142025	23*)	500	176486	1—50	1
110006	45*)	500	142539	1—50	40	177848	34*)	5
110017	29*)	500	142682	29*)	1000	178809	29*)	10
110363	1—50	40	143006	13*)	1000	179629	37*)	25
110769	49*)	1000	143270	29*)	500	179864	04*)	5
111619	1—50	40	144218	09*)	500	180243	27*)	5
111765	40*)	500	144293	41*)	1000	180389	33*)	5
111901	30*)	1000	144380	1—50	40	180751	12*)	5
112926	10*)	500	144491	1—50	40	181705	35*)	5
114177	1—50	100	144722	21*)	500	182872	1—50	
115348	35*)	500	145416	48*)	2500	183238	50*)	5
115451	05*)	500	145514	08*)	500	183443	1—50	
115821	1—50	40	145576	1—50	40	183889	1—50	
115885	48*)	500	147175	1—50	40	184782	1—50	
116012	40*)	500	149196	1—50	100	184919	1—50	
116223	1—50	40	149342	33*)	500	185148	37*)	5
116362	44*)	500	150101	12*)	1000	185887	05*)	5
117045	1—50	40	150736	43*)	500	185898	1—50	
117329	34*)	500	150816	11*)	1000	186363	02*)	5
117354	21*)	2500	150898	1—50	40	187213	1—50	
117405	11*)	500	151181	06*)	500	187996	1—50	1
117727	1—50	100	151389	01*)	500	188071	21*)	10
118705	1—50	40	151559	03*)	500	188474	31*)	5
120092	10*)	500	153905	36*)	1000	190601	42*)	5
121720	44*)	500	154545	49*)	500	191730	41*)	5
121736	28*)	500	154642	41*)	500	191973	1—50	
123903	25*)	1000	154925	02*)	500	192162	50*)	5
124459	18*)	500	156059	26*)	500	193131	13*)	5
124641	29*)	500	157220	11*)	500	193381	1—50	1
125490	02*)	500	157656	04*)	500	193450	03*)	5
126458	15*)	1000	159405	02*)	500	193882	50*)	5
126617	08*)	500	159762	1—50	100	195114	29*)	5
126665	1—50	40	159944	01*)	500	195236	04*)	5
127009	48*)	500	160043	1—50	40	195601	39*)	5
127026	19*)	500	161413	40*)	500	196049	49*)	5
127902	19*)	500	161878	14*)	500	197227	08*)	5
128517	20*)	1000	161891	31*)	2500	197283	24*)	5
128634	05*)	500	161916	08*)	500	197547	1—50	
129088	1—50	40	163842	11*)	500	197991	1—50	1
129440	47*)	500	164175	14*)	500	198370	10*)	5
129618	18*)	500	164464	28*)	500	198982	06*)	5
130347	48*)	500	165533	01*)	500	199718	36*)	5
130563	46*)	500	165622	1—50	100	199828	09*)	10
131441	1—50	40	167638	33*)	500	199985	1—50	1
131945	20*)	500	168074	22*)	500			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი. ათმანეთიანი ობლიგაციებით გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე — ბაქოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. ᲐᲮᲣᲜᲓᲝᲕᲘ.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ვ. ა. ᲖᲐᲛᲝᲚᲝᲓᲩᲘᲙᲝᲕᲐ.



წარმოებების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და საცხოვრებელი სახლების მფლობელთა საყურადღებოდ!

ახლოვდება ზამთრის თბობის სეზონი — ხანძრის მხრივ წელიწადის ყველაზე საშიში პერიოდი.

ამ დროს მეტ წილად ხანძარი ჩნდება გაუმართავი გამთბობი ხელსაწყოების გამოყენების და მათი საექსპლოატაციო რეჟიმის დარღვევის, ჭვარტლისაგან გაუწმენდავი საკვამლე მილების, ელექტროგამთბობი ხელსაწყოების და გაუმართავი ელექტროგაყვანილობის ექსპლოატაციის გამო.

ხანძრებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამართველო და საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება წინადადებას აძლევენ წარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საბინაო მეურნეობის მუშაკებს და საცხოვრებელი სახლების მფლობელებს, რათა დროულად განახორციელონ ყველა აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების ზამთრის თბობის სეზონისათვის მოსამზადებლად.

გახსოვდეთ!

თქვენზეა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო; საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება.

ტელევიზია

5 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვერძია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.). 09.50 — დილის ვარჯიში (მ.). 16.30 — ახმეტურიენგთათვის — ქიმია (ფ.). 17.05 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.35 — ბავშვის საერთაშორისო წელი — მხატვრული ფილმი „ალპამინის სკოლაში მიდის“ (ფ.). 18.45 — ჩქაროსნული მაგისტრალი. 19.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.). 19.45 — ღია მსოფლიოში (მ.). 20.00 — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადების 30 წლისთავის გამო (მ.). 22.00 — „ვერძია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.). 22.45 — „ქართული ფილმი“ — საუბილეო კინორევიუ. საგელვეიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „დათა თუთაშხია“ (მეოთხე სერია). პრემიერა (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 16.05 — დოკუმენტური ფილმი „ბამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სახელმწიფო სისტემა“, 17.05 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა (ფ.). 17.35 — განცხადებები (ფ.). 17.40 — ბავშვებლის საათი — ქიმია (ფ.), 18.25 — მხატვრული ფილმი „ერთადერთი“ (ფ.).

თელევიზია

5 ოქტომბერი

ფალავანშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ერთაძგერები ბალეტები (22-ე აბონ. V წარ.). რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **კავკასიური ცარცის წრე;** მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ბუდე მეცხრე სართულზე;** მეგობრის თვალგრი (მეგობრის აღმართი № 1) — **სამგრობინი ოპერა;** ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — **მაგანედრიული ბაზის ტრიო;** კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თვალრალური სახელოსნო — **სამე.**

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

380096 თბილისი-96, ლენინის 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საგარეო მიმოსვლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-86; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ჩიათურა — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სოშარაულის, 29.

ᲓᲐᲜᲐᲙᲘᲡᲣᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

გზა უფსკრულისაკენ

ვერ მიჩქმალეს...

სერგო იორის ძე იგნატოვი ახლა აღარც სკოლაში დადის და სახლსაც იშვიათად ეყარება. იგი მცირეწლოვანია, 1964 წლის აპრილშია დაბადებული, სწავლობდა (თუ სწავლობს) მეათე რუსული საშუალო სკოლის მეცხრე კლასში. ბიჭის მარტოხელა დედა ნინო სერგის ასული ტერეზოვა ფაბრიკაში მჭსოველად მუშაობს. როგორც ამბობენ, თუ სცალია, მეზობლებსაც ეხმარებაო საოჯახო საქმეში.

ერთი სიტყვით, არის ბიჭი, ჰყავს დედა, ბიჭი იზრდება სკოლაში, სადაც ასწავლიან გამოცდაზე და ჭ. ქუთაისში საკმაოდ ცნობილი პედაგოგ-მასწავლებლები, მაგრამ...

წელიწადს, 4 თებერვალს ერთი ვაი-უშველებელი შეიქნა ლენინის პროსპექტზე კინოთეატრ „ქუთაისის“ ახლომდებარე „სოიუზპეჩატის“ № 20 კიოსკში; ვიღაცამ შეამჩნია, რომ კიოსკი გატეხილი და დაცარიელებული იყო.

— არიქა, ოლია ჩხაიძე მოვნახოთ, ხალხო! — წამოიძახა ერთერთმა და კიოსკის გამგე-გამყიდველის ბინისაკენ გაიქცა. მას სხვებიც დაედევნენ. ოლიამ თავში ხელი შემოირტყა. მაგრამ ოლია უშველიდა —. ბოროტმოქმედს კიოსკი გაეტეხა და თითქმის გაეცარიელებინა, დანაკლისმა 83 მანეთს გადააჭარბა.

გამყიდველმა უმალ „სოიუზპეჩატის“ ქუთაისის განყოფილებას და შინაგან საქმეთა ორგანოს ხელმძღვანელობას მიაშურა.

— განცხადება არ გინდა. ეს ფაქტი არსად არ გაამხილო, ჩვენ ისედაც მოვუნახავთ დამნაშავეს — გულდაჯერებით უთხრა შინაგან საქმეთა ორგანოს მორიგ ოპიონის განყოფილების უბნის ინსპექტორმა ბ. ჭურაძემ შეშფოთებულ გამყიდველს და კარგი სიტყვით უკანვე გამოისტუმრა, ხოლო სამსახურის ხელმძღვანელებმა პირიდან ცოფი ყარეს, ჩვენ ქურდი არ ვიცით, სახელმწიფო ქონება დატაცებულია, თანაც ახლავე დაფარე, თორემ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიგიცემთო. რას გააწყობდა ოლია ჩხაიძე, სამსახურის დაკარგვას და პასუხისგებაში მიცემას 83 მანეთის გადახდა ამჯობინა. ასე მიიჩქმალა დანაშაული, მაგრამ ბოლოს სიმართლემ თავისი გაიტანა — ქურდი შემთხვევით იპოვეს, იგი მცირეწლოვანი ს. ივანტოვი აღმოჩნდა.

— ძნელად აღსაზრდელი ბავშვია, გაკვეთილებს ხშირად აცდენს, ბევრს ვეცადეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით, — ამბობენ მე-10 სკოლის პედაგოგ-მასწავლებლები. ჩვენ კი არ გვჯერა ეს. მართალია, ზოგჯერ ჭირს მოზარდის სწორი აღზრდა. მაგრამ მთავარი მაინც მუშაობაა, დაუზარელი, შეუპოვარი მუშაობა. ამას კი ზოგიერთები გაურბიან.

დანაშაულის მიჩქმალვისათვის უბნის ინსპექტორი ბ. ჭურაძე სამსახურიდან დაითხოვეს, სასჯელს ვერც სხვები გადაურჩნენ, მაგრამ ს. ივანტოვის აღზრდაში დაშვებული შეცდომისათვის პასუხი ვის მოვთხოვოთ?

ისწავლის კი ბაუას?!

ჩვენ ამჯერად მისი ცხოვრების ყველა დეტალი არ ვიცით. მაგრამ 1953 წელს რომ დაიბადა ვანის რაიონის სოფელ ფერეთაში, სულ ახლახან, ივნისში რომ დაიწყო მუშაობა ქუთაისში „საქმთავარენერგოს“ სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშად და ქ. ქუთაისის მოქალაქეობა დაიმკიდრა შაუმიანის ქუჩის № 27 სახლში, ნამდვილად ცნობილია.

მერედა ამაში ცუდი რა არისო, იკითხავთ ალბათ. პატივცემულო მკითხველო.

არაფერი, ნეტავი ყოველი ახალგაზრდა ეზიარებოდეს მუშის პროფესიას, ნეტავი ყოველი ახალგაზრდა, რომელმაც თავისი ნიჭისა და უნარის მიხედვით ვერ მონახა შეკვეთილების მწვერვალებზე მისასვლელი გზა, ჩაებმებოდეს შრომის ფერხულში და ისე გაიკვალევდეს მომავალს, როგორც ეს ბევრმა სხვამ ქნა.

ლევან დიომიდეს ძე ქარციძე. სწორედ ამ ახალგაზრდაზეა საუბარი.

თქმა არ უნდა, სოფელში მუშაობელი რომ აკლიათ. საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბაღ-ვენახებს, ყანებსა და ბოსტნებს დიახაც სჭირდება ახალგაზრდების გამრჯე ხელი და ენერგია. მაგრამ არ იწყობა ლევანმა სოფელში დარჩენა, ქალაქისკენ გაუწია გული. კეთილი და პატრონისნი!.. ვინ გაუბედავს უარს ქალაქში ცხოვრებაზე. ეს კიდევ საკითხის სხვა მხარეა და ამაზე სეროზული ჩაფიქრება გვმართებს, მაგრამ ფაქტი ერთია: სოფლიდან ქალაქში მისი ცხოვრების ეგრეთწოდებული რომანტიული მხარით მოხიბლული ახალგაზრდა ჩამოდის, მას სხვანაირი მზრუნველობა, მოვლა-პატრონობა და ჭკუის დამრიგებელი სჭირ